

9. საქართველოს პარლამენტის მიმართვა აფხაზ ხალხს, 1993 წლის 22 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა აფხაზ ხალხს

მეცხრე თვეა აფხაზეთში მძვინვარებს ძმათამკვლელი ომი. დაიღუპა ათასობით ადამიანი, გაუბედურდა ათიათასობით ოჯახი, ინგრევა და პარტახდება ქალაქები და სოფლები, ღვთისაგან მიწიერ სამოთხედ შექმნილი მხარე ჯოჯოხეთს ემსგავსება. და თუ დროზე არ მოვეგეთ გონს, შეიძლება სრულიად დაიცალოს აფხაზეთისაგანაც და ქართველებისაგანაც.

იქნებ ახლა მაინც დავფიქრდეთ და მივხვდეთ, რომ ეს ომი მხოლოდ “ზოროტების იმპერიის” რენიმატორებს აძლევს ხელს, რომ ყველა გაუგებრობა ჩვენს შორის, საუკუნეების მანძილზე ერთიან სამშობლოში ძმურად მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს შორის, სწორედ ამ “ზოროტების იმპერიამ” მოგვახვია თავს სწორედ ისევ ერთად თუ შევძლებთ მისგან განთავისუფლებას.

გავისენოთ, როდის იყვნენ ჩვენი წინაპრები ძლიერნი, მართალნი და გამარჯვებულნი - მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ერთად იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც, თავიანთი ერთიანი სამშობლოს დაცვაში და აღმშენებლობაშიც, როცა მათ ბოლომდე სწამდათ, რომ არ არსებობს აფხაზური პრობლემა, რომელიც იმავდროულად ქართულიც არ იყოს, და არ არსებობს ქართული პრობლემა, რომლის მიმართ აფხაზი შეიძლება გულგრილი რჩებოდეს. ნუ შეურაცხვეყოფთ ჩვენი წინაპრების ძმობას, ნუ შევაშფოთებთ მათს წმინდა სულს.

ვიფიქროთ ჩვენს შვილებზე და შვილიშვილებზეც, ნუ დავიდებთ მიუტევებელ ცოდვას - მათ ხომ მაინც ერთად, მეზობლად უნდა იცხოვრონ, თუკი ჩვენ კიდევ დავუტოვებთ ამ ქვეყნად ყოფნის შესაძლებლობას.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს აფხაზი ხალხის წარმომადგენლებს, უხუცესებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს - შევხვდეთ სადაც ინებებთ და როცა ინებებთ, რათა განვიხილოთ და მოვაგვაროთ ჩვენს შორის არსებული ყველა პრობლემა ისე, როგორც აფხაზი და ქართველი ხალხების ღირსებას ეკადრება და ჩვენს რაინდულ ტრადიციებს შეშვენის.

თბილისი, 1993 წლის 22 აპრილი.

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, ## 5-8, 1993, გვ. 146-147)